საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/1150
24/03/2026

1150-08-2-202603241705

შპს ,,ტექსი“-ს დირექტორს
ბატონ ზურაბ ბასილიას
მის.: სოფ. კაიშაურები, მთავარცლა,
კომერციული ფართი, N20 ნიშნული
მობ.: 558 33 32 14

თქვენი, 2026 წლის 20 მარტის
განცხადების პასუხად

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის დროებით შეჩერების მიუხედავად, ვალდებულნი ხართ იმოქმედოთ „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის №167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - „წესი“) მოთხოვნათა შესაბამისად.

ამასთან, ამავე წესის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: ,,პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ანგარიშგება (დანართი №10), საქართველოს ეროვნული ბანკის NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში „NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით”. ასევე, წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: პუნქტი/ფილიალი ვალდებულია, საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ღილაკი და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. პუნქტი/ფილიალი ვალდებულია არ განახორციელოს ვალუტის გადაცვლა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ღილაკისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემის გამართული ფუნქციონირების გარეშე.“.

პატივისცემით,

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge